

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 05

პროგრამის დასახელება:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2019-2022 წლები

პროგრამის მიზანი:

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება და დაცვა

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

კულტურული მემკვიდრეობა ამოუწურავი რესურსია. ამ უძვირფასესი რესურსის გამოვლენა, დაცვა, ინტერპრეტაცია და გამოყენება სოციალური და ეკონომიკური წინსვლის აუცილებელი პირობაა. კულტურული მემკვიდრეობა სულიერი და მატერიალური განვითარების მატჩანე, ერის თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და თვითმყოფადი ეროვნული კულტურის უწყვეტობის წინაპირობა და კაცობრიობის საერთო საგანძურის განუყოფელი ნაწილია. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია. ამ უფლებამოსილების შესრულების მიზნით, 2019 წელს განხორციელდება ქვეპროგრამა „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია“, რომელიც ითვალისწინებს ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N38-ში და კომახიდის ქ. N4-ში მდებარე შენობების (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების) რეაბილიტაციას.

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია	2 429 207	307 919	754 590	965 595	401 103
სულ პროგრამა	2 429 207	307 919	754 590	965 595	401 103

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
		2018 წელი (საბაზისო)	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი				
შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები	რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობა	1	1	1	1	1	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 05 01

ქვეპროგრამის დასახელება:

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	307 919
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	307 919

ქვეპროგრამის მიზანი:

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრებში სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების გზით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული კულტურული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია. ამ უფლებამოსილების შესრულების მიზნით, 2019 წელს განხორციელდება ქვეპროგრამა „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია“, რომელიც ითვალისწინებს ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N38-ში მდებარე (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაციასა და შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობას.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N38-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაცია	ერთეული	1	304 870	304 870
შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა	პროექტი	1	3 049	3 049
სულ ქვეპროგრამა				307 919

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N38-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაცია	x	x	x	x
შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

განხორციელებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია

დამატებითი ინფორმაცია

ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N38-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაცია მრავალწლიანი პროექტია, სამუშაოები დაიწყო 2018 წელს, სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2018-2019 წ.წ.) შეადგენს 487 576 ლარს.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
განხორციელებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია	რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობა	1	რაოდენობა	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	მონიტორინგი